საქართველოს ახალ კორონავირუსზე გადაუდებელი რეაგირების პროექტი

ჯანდაცვის სექტორის პოსტ-კრიზისული გეგმა

სამუშაოს ჩარჩო-გრაფიკი

ახალმა კორონავირუსმა (SARS-CoV-2) და მასთან ასოცირებულმა დაავადებამ (COVID-19) კაცობრიობა უდიდესი გამოწვევის წინაშე დააყენა. პანდემიამ, როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნულ დონეზე შექმნა მრავალი პრობლემა და COVID-19 გამკლავება ყველა ქვეყნის მთავრობის ძირითადი პრიორიტეტი გახადა.

საქართველოს მთავრობა ერთ-ერთია იმ სახელმწიფოთაგან, ვინც ეპიდემიის შეკავებისა და კრიზისის დაძლევისთვის მზადება ადრეულ ეტაპზე დაიწყო. შესაბამისად, განხორციელებულმა ღონისძიებებმა შესაძლებლობა მისცა ქვეყანას, პირველ ეტაპზე დროულად აეცილებინა ჯანდაცვის სისტემის შესაძლო კოლაფსი. თუმცა COVID-19-ის, როგორც ახლად აღმოცენებული ინფექციის ჯერ კიდევ შეუსწავლელი ბუნება, მის საწინააღმდეგოდ არსებული სპეციფიური მკურნალობისა და ხანგრძლივმოქმედი, ეფექტურობის თვალსაზრისით მდგრადი პრევენციული ღონისძიების არარსებობა მიუთითებს, რომ ჯანდაცვის სისტემის გაძლიერებისა და ქვეყნის რეაგირების გაუმჯობესების მიმართულებით მუშაობა გასაგრძელებელია და გამოსაყოფია ის საკვანძო მიმართულებები, რომლებიც განსაკუთრებულ შემთხვევაში ბარიერად დადგება ეპიდემიის მეორე და / ან შემდგომი ტალღის წინააღმდეგ და მაქსიმალურად გაანეიტრალებს შესაძლო უარყოფით შედეგებს.

სამომავლოდ SARS-CoV-2 პანდემიის მართვის გაუმჯობესების კუთხით მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, რომ შემუშავებულ იქნას ქვეყნის რეაგირების სწორი კურსი, რაშიც განსაკუთრებული ადგილი უკავია ჯანდაცვის სექტორის პოსტ-კრიზისულ გეგმას, რის საფუძველზეც უნდა განხორციელდეს კრიტიკულად საჭირო აქტივობები. დღევანდელი გამოწვევების საპასუხოდ, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემა და არსებული სერვისები უნდა იყოს სტრუქტურულად გამართული, ფინანსურად მდგრადი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი და დაკომპლექტებული.

წარმოდგენილი ჩარჩო-გრაფიკი მოიცავს მიზნობრივ სამუშოებს, რომელიც უნდა იქნას გაწეული ქვეყნის ჯანდაცვის სექტორის პოსტ-კრიზისული გეგმის შემუშავებისთვის, რაც მიმართული იქნება ე.წ. ჰიბრიდულ სტრატეგიაზე - ერთის მხრივ ქვეყნის ჯანდაცვის, მისი მზაობის და მოქნილობის გაძლიერებას და მეორეს მხრივ, არსებული რესურსების გამოყენებით, მისი რეაგირების გაუმჯობესებაზე.

COVID-19 ეროვნული ჩარჩო-გრაფიკი

სამუშაოს სპეციფიკა

ჯანდაცვის სექტორის პოსტ-კრიზისული გეგმის შედგენის სამუშაო მოიცავს რამდენიმე ეტაპს. თითოეული ეტაპი მოიცავს მიზნობრივ სამუშაოს, რაც წარმოადგენს შემდეგი ფაზის წინაპირობას. დეტალური დროის გადანაწილება წარმოდგენილია დანართის სახით, რაც საშუალებას იძლევა პრაგმატულად იყოს დაგეგმილი თითოეული ეტაპი. შემუშავებული ფაზებიდან თითოეული მათგანი განსხვავებულია სპეციფიკიდან გამომდინარე. პირველი, მეორე და მეხუთე ფაზა ე.წ. სამაგიდო ანალიზის (desk review) და არსებული საუკეთესო გამოცდილების შესწავლას (benchmarking) მოიცავს, თუმცა ასევე მნიშვნელოვანია ინტენსიური შეხვედრები და კონსულტაციები ყველა დაინტერესებულ მხარესთან (stakeholder interview). შესაბამისად, მნიშვენლოვანია წინასწარი გეგმის წარდგენა და გაცნობა პროცესების უწყვეტობის თვალსაზრისით. მესამე და მეოთხე ფაზა სამაგიდო ანალიზს, მოპოვებული მონაცემების დამუშვებას და ბრეინსტორმინგს მოიცავს.

გამოყოფილი ძირითადი ფაზებია:



პოსტ-კრიზისული გეგმის ეტაპები

გამოყოფილი ძირითადი ფაზები და შედეგები:

ფაზა 1

არსებული სიტუაციის შესწავლა
და რესურსების შეფასება

Status quo ანალიზი
Logical Framework

Needs assessment
Benchmarking
Stakeholder analysis

ფაზა 2

საჭიროებების ანალიზი

ფაზა 3

გეგმის კორექტირება და
საბოლოო დიზაინი

Problem Tree Vs Objective Tree

ფაზა 4

სტრუქტურა - პროცესი -
გამოსავალი

განხორციელება
შემუშავებული
ინდიკატორების შესაბამისად

ფაზა 5

საბოლოო ფორმატი და
წარდგენა

უკუკავშირი და დასრულება

საბოლოო შეფასება

Made with infogram

სამუშაოს სავარაუდო მიმართულებები

COVID-19 მიმართებაში საქართველოს ჯანდაცვის სექტორის გაძლიერებისთვის მნიშვნელოვანი ასპექტები:

- ეპიდზედამხედველობის გაძლიერება (გამოვლენა, მიდევნება, იზოლაცია, მეთვალყურეობა)
- დიაგნოსტიკა და ტესტირება (მიზნობრივი ჯგუფების მოცვის გაფართოება)
- პჯდ გაძლიერება (ინფრასტრუქტურა, გადამზადება)
- ჰოსპიტალური სექტორის გაძლიერება (ინფრაქტრუქტურა)
- Healthcare workforce, სპეციალური მომზადება და რეგულარული გადამზადება
- ჯანმრთელობის ხელშეწყობა და სამოქალაქო ცნობიერების გაძლიერება, ფსიქოლოგებისა და სოციოლოგების მობილიზება, ცხელი ხაზი
- მულტისექტორული თანამშრომლობა
- მხარდამჭერი კვლევები (სეროპრევალენტობა, აღწერილობითი ანალიზი)
- საინფორმაციო ტექნოლოგიები და ინოვაციები (ტელემედიცინა)
- ლოჯისტიკა, შესყიდვა და მარაგები

საერთაშორისო პარტნიორები

COVID-19 გვების ჩანაწერებიდან

სამუშაოს განხორციელებისთვის საჭირო ვადები

Project Start: Wed, 6/10/2020

splay Week: 1

აქტივობის დასახელება	პროგრესი	დაწყება	დამთავრება
ფაზა 1			
Status quo ანალიზი	0%	10/06/20	13/06/20
Logical Framework	0%	13/06/20	14/06/20
ფაზა 2			
Needs assessment	0%	14/06/20	17/06/20
Benchmarking	0%	14/06/20	22/06/20
Stakeholder analysis	0%	14/06/20	26/06/20
ფაზა 3			
Problem Tree	0%	26/06/20	27/06/20
Objective Tree	0%	26/06/20	27/06/20
ფაზა 4			
სტრუქტურა - პროცესი-გამოსავალი	0%	27/06/20	06/07/20
ფაზა 5			
უკუკავშირი	0%	06/07/20	12/07/20
დასრულება	0%	12/07/20	14/07/20